დოქტორანტის სემინარის ინსტრუქცია

1.1. დოქტორანტი საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ პერიოდში ამზადებს მინიმუმ ერთ თემატურ სემინარს. სასემინარო კვლევის შედეგების პრეზენტაცია და სასემინარო ნაშრომის დაცვა ხორციელდება შესაბამისი კათედრის/კათედრების მიერ დამტკიცებული დარგობრივი კომისიის წინაშე.

1.2. სამეცნიერო - თემატური სემინარის ძირითადი მიზანია:

- სასემინარო თემატიკის ფარგლებში დოქტორანტს შესძინოს შესაბამისი დარგის/ქვედარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- ხელი შეუწყოს დოქტორანტს, რათა თანამედროვე კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების გამოყენებით კრიტიკულად გაიაზროს შესაბამისი დარგის/თემატიკის აქტუალური საკითხები. ასევე, განივითაროს თემატურ დისკუსიაში მონაწილეობისათვის საჭირო უნარები.
- დაეხმაროს დოქტორანტს, დამოუკიდებლად წარმართოს კვლევითი და ანალიტიკური სამუშაო, ზოგადად, გააუმჯობესოს საკუთარი კვლევის ხარისხი.

1.3. თემატური სემინარის შესრულებისას დოქტორანტი:

- ითვალისწინებს შესაბამისი დარგისა თუ ქვედარგის უახლეს მიღწევებს;
- არჩევს და იყენებს კვლევის შესაბამის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს;
- აღწერს საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებულ, დარგში არსებულ აქტუალურ საკითხებს/პრობლემებს;
- სისტემურად აანალიზებს არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს/პრობლემებს;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, გეგმავს და ახორციელებს შესაბამისი დარგისა თუ ქვედარგის განვითარებაზე ორიენტირებულ კვლევას;
- მონაწილეობს თემატურ დისკუსიაში.

1.4. თითოეული თემატური სემინარის კრედიტების მოცულობა განისაზღვრება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით;

1.5. სასემინარო ნაშრომის თემას დოქტორანტი არჩევს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და მის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

1.6. სემინარი გულისხმობს მოხსენებას შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო მიმართულების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემატიკის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი;

1.7. თემატური სემინარის ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 15 გვერდისა, დანართების გარეშე. ყველა გვერდი უნდა დაინომროს თანმიმდევრობით, დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა-12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება უფრო დიდი ზომის შრიფტის გამოყენება. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1,5. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს მხოლოდ ერთ გვერდზე. გვერდის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს 30 მმ

მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებზე – 20 მმ. ნაშრომს უნდა ერთოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი;

1.8. სემინარის ჩატარების უფლების მოსაპოვებლად დოქტორანტი სასემინარო ნაშრომს წარუდგენს ხელმძღვანელს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;

1.9 ხელმძღვანელი, მისი დადებითი დასკვნის შემთხვევაში, შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე, შემდგომი შეფასების მიზნით, ნაშრომს გადასცემს კათედრას;

1.10. წარმოდგენილი სასემინარო ნაშრომის საფუძველზე, შესაბამისი კათედრა აწესრიგებს სემინარის ორგანიზაციულ მხარეს;

1.11. სემინარზე დოქტორანტის ნაშრომს აფასებს არანაკლებ სამი წევრისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც ადგენს შესაბამისი კათედრა. კომისიაში შეიძლება შევიდნენ კათედრის შესატყვისი დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და მოწვეული სპეციალისტები. კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს. ობიექტურობის მიზნით, აღნიშნულ კომისიასა და დოქტორანტის ნაშრომის შეფასებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს დოქტორანტურის წარმომადგენელი;

1.12. ინფორმაცია სემინარის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ განისაზღვრება კათედრის მიერ და იგი უნდა განთავსდეს აკადემიის ვებგვერდზე. ასევე უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილზე სემინარის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, რათა ნებისმიერ მსურველს შეეძლოს მასზე დასწრება;

1.13. სემინარის ფარგლებში დოქტორანტი წარმოადგენს სასემინარო მუშაობის შედეგებს (15-20 წუთი), რასაც მოჰყვება დისკუსია.

1.14. სასემინარო ნაშრომის, მისი საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას კომისიის თითოეული წევრი ახდენს 4 კომპონენტის საფუძველზე (იხ. დანართი 1). დასკვნითი ქულა განისაზღვრება კომისიის ყველა წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით. შეფასება აისახება სემინარის შეფასების ოქმში (იხ. დანართი 2);

1.15. დოქტორანტის სემინარი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით, ხოლო დასკვნითი შეფასების (მაქსიმუმ 100) ქულა გამოითვლება შეფასების 4 კრიტერიუმის საფუძველზე. შეფასება უარყოფითად მიიჩნევა, თუ რომელიმე კრიტერიუმი შეფასდება 51%-ზე ნაკლებით (13 ქულა და დაბალი);

1.16. სემინარის უარყოფითი ,,Fx” შეფასების შემთხვევაში (41-50 ქულა), დოქტორანტს ეძლევა უფლება, იმავე სემესტრში განმეორებით წარადგინოს ნაშრომი დასკვნითი შეფასების მისაღებად. ძირითად და განმეორებით დასკვნით შეფასებას შორის უნდა იყოს მინიმუმ ერთი კალენდარული თვე;

1.17. სემინარის უარყოფითი „F“ შეფასების შემთხვევაში (41 ქულაზე ნაკლები), დოქტორანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად;

1.18 სემინარისათვის კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია სადოქტორო პროგრამით.

<u>ინსტრუქცია:</u>

1. **შეფასების შკალა**

შემფასებელი ხელმძღვანელობს შეფასების ოთხდონიანი შკალით, რომელიც განმარტებულია შემდეგნაირად:

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან - კრიტერიუმი შეფასებულია, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ კვლევისას გამოყენებული მიდგომები და ნაშრომში წარმოჩენილი შედეგები სრულად პასუხობს კრიტერიუმის მოთხოვნებს.

მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ ნაშრომიდან შესაძლებელია კრიტერიუმის შესაბამისი შედეგების წარმოჩენა, თუმცა, ნაშრომს აქვს სუსტი მხარეებიც, რომელთა დაძლევა შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 6 თვისა).

ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზე აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს, ასევე, აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევად საჭირო დრო და რესურსი სცდება ნაშრომის გასწორებისათვის სადოქტორო პროგრამითა და რეგულაციებით განსაზღვრულ ვადას.

არ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს.

გთხოვთ, განსაზღვროთ ქულები მითითებული კრიტერიუმების გამოყენებით, შეფასების შესაბამისი შკალების მიხედვით.

2. **შემფასებლის დასკვნა**

შემფასებელი ნაშრომს აფასებს კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით, აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნას, ხოლო კრიტერიუმიდან გამომდინარე, უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სასურველია, შემფასებლის დასკვნა თითოეული კრიტერიუმისათვის არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

1. სემინარის თემა შეესაბამება დარგის პრობლემატიკას და არის აქტუალური - მაქსიმუმ 25 ქულა

21-25 ქულა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შემფასებლის დასკვნა
16-20 ქულა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
6-15 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-5 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

2.წარმოდგენილი მასალა არის თემის შესაბამისი და ინფორმაციული, ხოლო ჩატარებული ანალიზი იძლევა შესაბამისი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას - მაქსიმუმ 25 ქულა

21-25 ქულა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შემფასებლის დასკვნა
16-20 ქულა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
6-15 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-5 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

3. კვლევის შედეგები და დასკვნები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული - მაქსიმუმ 25 ქულა

21-25 ქულა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შემფასებლის დასკვნა
16-20 ქულა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
6-15 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-5 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

4. დოქტორანტს აქვს პრეზენტაციისა დაკომუნიკაციის უნარი. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, მსჯელობა სათანადო დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია - მაქსიმუმ 25 ქულა

21-25 ქულა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შემფასებლის დასკვნა
16-20 ქულა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
6-15 ქულა	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
0-5 ქულა	არ შეესაბამება მოთხოვნებს	

სადოქტორო პროგრამა

_____

დოქტორანტი

_____

სადოქტორო ნაშრომის სახელწოდება

_____

სემინარის თემა

_____

№	კომისიის წევრები	შეფასების კომპონენტები			
		სემინარის თემა შეესაბამება დარგის პრობლემატიკას და არის აქტუალური (მაქსიმუმ 25 ქულა)	წარმოდგენილი მასალა არის თემის შესაბამისი და ინფორმაციული, ხოლო ჩატარებული ანალიზი იძლევა შესაბამისი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას (მაქსიმუმ 25 ქულა)	კვლევის შედეგები და დასკვნები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული (მაქსიმუმ 25 ქულა)	დოქტორანტს აქვს კომუნიკაციის უნარი. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, მსჯელობა სათანადო დონეზეა. გამოყენებულია პროფესიული ტერმინოლოგია (მაქსიმუმ 25 ქულა)

კომისიის თავმჯდომარე

_____

კომისიის წევრები და ხელმოწერა

1._____

2._____

3._____

კომისიის მდივანი _____

თარიღი

დანართი 2 - შეფასების ოქმი

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის
თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

დოქტორანტის სემინარის შეფასების ოქმი

სადოქტორო პროგრამა
_____

დოქტორანტი
_____

სადოქტორო ნაშრომისსახელწოდება -
_____

სემინარის თემა
_____

კომისიის შეფასება, საშუალო არითმეტიკული	**განმეორებითი შეფასება, საშუალო არითმეტიკული**	**საბოლოო ქულა**	**საბოლოო შეფასება**

კომისიის თავმჯდომარე _____

კომისიის მდივანი _____

თარიღი _____